ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3071338

ნომერი: AR1473252

თარიღი : 25.01.2017

გაცემის თარიღი : 30.01.2017

გაცნობის თარიღი : 30.01.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N12 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ანა პოლიტკოვსკაია , N 10 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N12 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ანა პოლიტკოვსკაია , N 10 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N12 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ანა პოლიტკოვსკაია , N 10 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ანა პოლიტკოვსკაია , N 10 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N12 ; ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N12 ; ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N12 ; ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N12 ; ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N12 ; ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N12 ; ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი შენგელია პ/ნ 01024005613
- საბურთალოს ქ.35 ბ.18

ორგანიზაცია:

- შპს,,თენ" კოდი: 404891168

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაია ქუჩის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდგომში გრგ) კორექტირებული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, იმისთვის, რომ საკითხი განხილულ იქნას „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ (შემდგომში „საბჭო“) სხდომაზე, საჭიროა გასწორდეს რიგი ხარვეზები, კერძოდ:

<u>საერთო შენიშვნები:</u>

- ვინაიდან გრგ დოკუმენტის შემთანხმებელი ორგანო არის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო“ (შემდგომში საკრებულო), უფლებრივი ზონირების დეტალური რუკიდან ამოსაღებია “შეთანხმებულია არქიტექტურის სამსახურთან“;
- ექსპლიკაციაში მოცემული ყველა პირობითი აღნიშვნა და გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან;
- 69გვ.-დან 74გვ. ჩათვლით მოცემული რუკების სახელწოდებაა „ავტოტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის სქემა“ შინაარსობრივად სხვადასხვა რუკებია, რაც ერთმანეთთან შესაბამისობაშია მოსაყვანი; ასევე პარკირების სქემებზე არ არის ნიშნულები დატანილი, შესაბამისად გაურკვეველია რა ნაწილებია მოცემული;
- არსებული რეგისტრაციების რუკა არის გასაახლებელი;
- ტერიტორიაზე ფიქსირდება სერვიტუტი, რაც დოკუმენტაციაში ასახული არ არის;
- აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას გრგ გეგმარებითი დავალების გაცემის დროს დაფიქსირებული საბჭოს რეკომენდაცია, კერძოდ: „ტერიტორიის ფართიდან გამომდინარე, აუცილებელია მიკრო რაიონისთვის საჭირო ყველა მოთხოვნების გათვალისწინება, მათ შორის სარეკრეაციო, საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და სხვა ფუნქციების გათვალისწინება“

<u>კონკრეტული ხარვეზები:</u>

- გეგმარებითი განმარტებითი ბარათი

  • განმარტების ნაწილში ცხადად დააფიქსირეთ დაგეგმვის მიზანი;
- საბჭოს რეკომენდაციები

  • გრგ პროექტში არ არის გათვალისწინებული ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის რეკომენდაციები. წარმოადგინეთ განახლებული დოკუმენტაცია საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით;
- დაგეგმვის ეფექტიანობის (ხეირიანობის) შეფასება (SWOT)

  • გრგ ალბომის ტექსტურ ნაწილში წარმოადგინეთ გრგ დაგეგმვის შედეგად გასაწევი ხარჯების გადანაწილების პირობები და მათი სამომავლო შედეგები (ეფექტი);
  • გრგ ალბომის ტექსტურ ნაწილში წარმოადგინეთ პროექტის განხორციელების სარგებლიანობის შეფასება კერძო და საჯარო ინტერესების ჭრილში;
- სიტუაციური გეგმა

  • წარმოადგინეთ ნახაზი მასშტაბის დაცვითა და ჩვენებით;
  • წარმოადგინეთ ნახაზი აეროფოტო/ტოპოგრაფიული გეგმის საფუძველზე;
  • წარმოადგინეთ გეგმა საკოორდინატო ბადის ჩვენებით;
  • წარმოადგინეთ გეგმა ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების და საპროექტო ტერიტორიის ქუჩათა ქსელის მონიშვნით;
  • ნახაზზე წარმოადგინეთ შტამპი;
  • შტამპში მიუთითეთ მასშტაბი;
  • შტამპში მიუთითეთ გეგმაში გამოყენებული პირობითი აღნიშვნები;

• შტამპში მიუთითეთ შემსრულებელი პასუხისმგებელი სპეციალისტ(ებ)ის სახელი და გვარი;
• შტამპი წარმოადგინეთ შემსრულებელი პასუხისმგებელი სპეციალისტ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;

- ტოპოგრაფიული გეგმა

• წარმოადგინეთ ნახაზი მასშტაბის დაცვითა და ჩვენებით;
• წარმოადგინეთ ნახაზი საკოორდინატო ბადის და ვერტიკალური ნიშნულების (მათ შორის იზოჰიფსების) ჩვენებით;
• წარმოადგინეთ ნახაზი აზომილი ტერიტორიის რელიეფის ყველა მახასიათებლის გათვალისწინებით;
• წარმოადგინეთ განახლებული ნახაზი უკლებლივ ყველა სახის შენობა - ნაგებობის გათვალისწინებით;
• წარმოადგინეთ ნახაზი მიწის ნაკვეთ(ებ)ის რეგისტრირებული საკადასტრო საზღვრების ჩვენებით;
• ნახაზზე წარმოადგინეთ შტამპი;
• წარმოადგინეთ ნახაზი გეგმაში გამოყენებული მასშტაბის მითითებით;
• მიუთითეთ შტამპში შემსრულებელი პასუხისმგებელი სპეციალისტების სახელი და გვარი;
• წარმოადგინეთ შტამპი შემსრულებელი პასუხისმგებელი სპეციალისტების ხელმოწერით;

- საპროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა

• გადაამოწმეთ, რომ ნახაზის საფუძველი არის სიტუაციური გეგმა მისი ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით;
• გარკვევით გამოყავით ნახაზზე მოცემული საპროექტო ტერიტორიის საზღვრები ლურჯი წყვეტილი ხაზით;

- ფოტოსურათები

• წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის ფოტოსურათები მათი გადაღების თარიღების მითითებით;
• წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის ფოტოსურათები მათი ნუმერაციის მითითებით;

- ფიქსაციის სქემა

• გადაამოწმეთ, რომ ნახაზის საფუძველი არის სიტუაციური გეგმა მისი ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით;
• წარმოადგინეთ ნახაზი ფოტოსურათების გადაღების ადგილებისა და მიმართულებების ჩვენებით;
• წარმოადგინეთ ნახაზი ფოტოსურათების ნუმერაციის მითითებით;

- ტექნოგენური საფრთხეების ზონირება (არსებობის შემთხვევაში)

• გადაამოწმეთ, რომ ნახაზის საფუძველი არის სიტუაციური გეგმა მისი ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით;
• წარმოადგინეთ ნახაზი საპროექტო ტერიტორიის საზღვრების ჩვენებით;
• წარმოადგინეთ ნახაზი საპროექტო ტერიტორიის ტექნოგენური საფრთხეების ზონირებით;

- ბუნებრივი საფრთხეების ზონირება (არსებობის შემთხვევაში)

• გადაამოწმეთ, რომ ნახაზის საფუძველი არის სიტუაციური გეგმა მისი ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით;
• წარმოადგინეთ ნახაზი საპროექტო ტერიტორიის საზღვრების ჩვენებით;
• წარმოადგინეთ ნახაზი საპროექტო ტერიტორიის ბუნებრივი საფრთხეების ზონირებით;

- სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირება (არსებობის შემთხვევაში)

• წარმოადგინეთ სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირების რუკა ტექნოგენური საფრთხეების ზონირების საფუძველზე;
• წარმოადგინეთ სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირების რუკა ბუნებრივი საფრთხეების ზონირების საფუძველზე;
• ნახაზზე წარმოადგინეთ სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირება;

- გეგმარების შემზღუდავი ზონირება (არსებობის შემთხვევაში)

• გადაამოწმეთ, რომ ნახაზის საფუძველი არის ტოპოგრაფიული გეგმა მისი ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით;
• ნახაზზე წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები;
• ნახაზზე წარმოადგინეთ გეგმარების შემზღუდავი ზონირება;

- ფუნქციური ზონირება

• გადაამოწმეთ, რომ ნახაზის საფუძველი არის ტოპოგრაფიული გეგმა, ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით;
• გადაამოწმეთ, რომ ნახაზზე მოცემულია საპროექტო ტერიტორიის საზღვრები;
• წარმოადგინეთ ნახაზი გრგ შეთანხმების მომენტისთვის მგგ დადგენილ ზონირებასთან შესაბამისობაში;

- მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა

• გადაამოწმეთ, რომ ნახაზის საფუძველი არის ტოპოგრაფიული გეგმა მისი ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით;
• ნახაზი წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის საზღვრების ჩვენებით;
• წარმოადგინეთ ნახაზი გამიჯვნის სქემის ჩვენებით;
• წარმოადგინეთ ნახაზი მიწის ნაკვეთ(ებ)ის ნომერის/საკადასტრო კოდის ჩვენებით;
• წარმოადგინეთ ნახაზის შესაბამისი GIS ფაილი *.shp ფორმატში;

- დადგენილი ფუნქციური ზონების და გამოყენების სახეობების (ობიექტები და ფუნქციები) გეგმა

• გადაამოწმეთ, რომ ნახაზის საფუძველი არის მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა მისი ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით;
• ნახაზზე წარმოადგინეთ დაზუსტებული კონკრეტული ფუნქციური ზონირებით;
• ნახაზზე წარმოადგინეთ ის სამშენებლო განვითარების გეგმარებითი ერთეულები, სადაც ვრცელდება ერთგვაროვანი ფუნქციური ზონები, აგრეთვე მათი განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ცხრილი;
• ნახაზზე ზონების ფერები მოიყვანეთ მგგ დადგენილ ფერებთან შესაბამისობაში;
• წარმოადგინეთ ნახაზში მოცემული პარამეტრების ცხრილი ზონაში უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობებით;
• პარამეტრების ცხრილში მოცემული უძრავი ქონების გამოყენების საგამონაკლისო ნებადართული სახეობები წარმოადგინეთ ცალკეულ მიწის ნაკვეთებთან მიბმით გამიჯვნის სქემასთან შესაბამისობაში;
• პარამეტრების ცხრილში მიუთითეთ მოცემული უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობებისთვის შესაბამისი ფუნქციები;
• წარმოადგინეთ პარამეტრების ცხრილში მოცემული უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობებისთვის ფუნქციური ერთგვაროვნების/შერეულობის წილი (%-ში);

- მიწის ნაკვეთის კ-1, კ-2, კ-3 დადგენის გეგმა

• გადაამოწმეთ, რომ ნახაზის საფუძველი არის მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა მისი ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით;
• ნახაზზე წარმოადგინეთ ის სამშენებლო განვითარების გეგმარებითი ერთეულები, სადაც ვრცელდება ერთგვაროვანი კონკრეტული ფუნქციური ზონები, ასევე განაშენიანების რეგულირების პარამეტრების შესაბამისი ცხრილი;
• ნახაზზე მოცემულ პარამეტრების ცხრილში წარმოადგინეთ კ-1 კოეფიციენტის მაჩვენებელი, რომელიც დამრგვალებულია მეათედის სიზუსტით;
• ნახაზზე მოცემულ პარამეტრების ცხრილში წარმოადგინეთ კ-2 კოეფიციენტის მაჩვენებელი, რომელიც დამრგვალებულია მეათედის სიზუსტით;
• ნახაზზე მოცემულ პარამეტრების ცხრილში წარმოადგინეთ კ-3 კოეფიციენტის მაჩვენებელი, რომელიც დამრგვალებულია მეათედის სიზუსტით;
• პარამეტრების ცხრილში ცალკე გამოყავით შეცვლილი საგამონაკლისო კ-1, კ-2 და კ-3 ზღვრული მაჩვენებლები კონკრეტული მიწის ნაკვეთისთვის;
• წარმოადგინეთ დოკუმენტის ტექსტურ ნაწილში პარამეტრების გადამეტების დასაბუთება და განსაზღვრეთ შესაბამისი მაკომპენსირებელი ღონისძიება;

- შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის ან/და სართულიანობის დადგენის გეგმა

• წარმოადგინეთ ნახაზი მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმის საფუძველზე;
• ნახაზზე წარმოადგინეთ ის სამშენებლო განვითარების გეგმარებითი ერთეულები, სადაც ვრცელდება კონკრეტული ფუნქციური ზონები. აგრეთვე, წარმოადგინეთ განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ცხრილი;
• ნახაზში წარმოდგენილ პარამეტრების ცხრილში მიუთითეთ შენობა-ნაგებობების ზონაში დასაშვები მაქსიმალური სიმაღლე;

• ნახაზში წარმოდგენილ პარამეტრების ცხრილში მიუთითეთ შენობა-ნაგებობების ზონაში დასაშვები მაქსიმალური სართულიანობა;
• წარმოადგინეთ ნახაზი განსხვავებული სიგანის საზოგადოებრივი სივრცეების მიმართ განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის დადგენის სქემებით;
• წარმოადგინეთ ნახაზი უკანა ეზოს მიმართ განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის დადგენის სქემებით;
• პარამეტრების ცხრილში წარმოადგინეთ განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ანგარიშის ფორმულა;

- მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების გეგმა

• გადაამოწმეთ, რომ ნახაზის საფუძველი არის მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა მისი ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით;
• წარმოადგინეთ ნახაზი სამშენებლო განვითარების გეგმარებითი ერთეულების ჩვენებითა და შესაბამისი ცხრილით;
• ნახაზზე მოცემულ ცხრილში წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთების განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობის სახეობა;
• წარმოადგინეთ ნახაზი მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების სქემით, განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზების ან/და განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზების ჩვენებით;
• ნახაზზე გამოყავით უკანა ეზო განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზებით;
• წარმოადგინეთ ნახაზი წარმოსახვითი სამეზობლო მიჯნების ჩვენებით;
• ნახაზზე მოცემულ ცხრილში წარმოადგინეთ ნაკვეთზე შენობების განთავსების რეჟიმი;

- ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობის დადგენის გეგმა

• გადაამოწმეთ, რომ ნახაზის საფუძველი არის მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა მისი ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით;
• ნახაზზე წარმოადგინეთ ის სამშენებლო განვითარების გეგმარებითი ერთეულები, სადაც ვრცელდება კონკრეტული ფუნქციური ზონები. აგრეთვე, წარმოადგინეთ განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ცხრილი;
• ნახაზზე მოცემულ პარამეტრების ცხრილში წარმოადგინეთ ზონის შესაბამისი მიწის ნაკვეთებისთვის დადგენილი განაშენიანების აუცილებელი (მინიმალური) ავტოსადგომების ადგილების რაოდენობა;
• ცალკეული მიწის ნაკვეთებისთვის განსაზღვრული განსხვავებული პარამეტრებით დადგენილი გამონაკლისისთვის წარმოადგინეთ შესაბამისი დასაბუთება დოკუმენტის ტექსტურ ნაწილში და მიუთითეთ რელევანტური მაკომპენსირებელი ღონისძიება;

- ძირითადი და ლოკალური გზების ან/და ქუჩების გეგმა

• ნახაზი წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმის საფუძველზე;
• ნახაზზე წარმოადგინეთ არსებული ან/და დაგეგმილი ძირითადი და ლოკალური საავტომობილო გზები/ქუჩები და შესაბამისი პარამეტრების ცხრილი;
• ცხრილში მიუთითეთ ქუჩების/გზების იერარქია;
• ნახაზზე მიუთითეთ ქუჩების/გზების გაბარიტული ზომები იერარქიისა ან/და კატეგორიის მიხედვით;
• ნახაზი წარმოადგინეთ ფრაგმენტული კვანძების ჩვენებით მსხვილ მასშტაბში;
• წარმოადგინეთ ნახაზი საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ან/და დაგეგმილი კერძო და საჯარო სერვიტუტების დატანით და მათი პირობების ასახვით;

- ავტოსადგომების განაწილების გეგმა

• ნახაზი წარმოადგინეთ ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების გეგმის საფუძველზე;
• ნახაზი წარმოადგინეთ მიწისზედა ავტოსადგომების განლაგების სქემის ჩვენებით;
• ნახაზი წარმოადგინეთ მიწისქვეშა ავტოსადგომების განლაგების სქემის ჩვენებით;

- საგზაო მოძრაობის ორგანიზების გეგმა

• ნახაზი წარმოადგინეთ ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების რუკის საფუძველზე;
• ნახაზზე წარმოადგინეთ საგზაო მოძრაობაში გამოყოფილი სავალი ნაწილები, მიმართულებები და პარამეტრების ცხრილი;
• ცხრილში წარმოადგინეთ საგზაო მოძრაობის დანიშნულება;
• ნახაზზე წარმოადგინეთ სავალი ნაწილების დასაშვები გამტარიანობის ინდიკატორი;
• სქემაზე წარმოადგინეთ საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილის გადაადგილების რეჟიმი: გამოყოფილი სივრცე, მიმართულებები და ინტენსივობა;

- გამწვანების დენდროლოგიური გეგმა

• წარმოადგინეთ ნახაზი მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების გეგმის საფუძველზე;
• ნახაზი წარმოადგინეთ ყველა არსებული ხე-ნარგავების მონიშვნით;
• ნახაზი წარმოადგინეთ გასაშენებელი (საპროექტო) გამწვანების მონიშვნით;
• ნახაზზე წარმოადგინეთ გამწვანების ტაქსონომია და შესაბამისი პარამეტრების ცხრილი;
• წარმოადგინეთ ნაკვეთებზე შენობათა განთავსების სქემა იმგვარად, რომ საპროექტო შენობა-ნაგებობათა განთავსების არეალები არ ემთხვეოდეს ხე-ნარგავების განთავსების არეალს;
• წარმოადგინეთ ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურის შესაბამისი გადაწყვეტილება დაავადებული ხე-ნარგავის მოჭრის თაობაზე;
• წარმოადგინეთ ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურის შესაბამისი დაპირება ხე-ნარგავების სპეციალური ჭრის ან/და გადარგვის თაობაზე;

- ვერტიკალური გეგმარება

• ნახაზი წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმის საფუძველზე;
• ნახაზი წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების ჩვენებით;
• ნახაზი წარმოადგინეთ ძირითადი ან/და ლოკალური გზების ან/და ქუჩების ჩვენებით;
• ნახაზი წარმოადგინეთ გასაშენებელი (საპროექტო) გამწვანების ჩვენებით;
• ნახაზზე წარმოადგინეთ პარამეტრების ცხრილი;
• პარამეტრების ცხრილში წარმოადგინეთ მოსაჭრელი ან/და დასაყრელი გრუნტის მოცულობები;
• ნახაზზე წარმოადგინეთ ტერიტორიის ჭრილები, მოსაჭრელი ან/და დასაყრელი გრუნტის მონიშვნითა და არსებული და საპროექტო ნიშნულების ჩვენებით;
• ნახაზზე წარმოადგინეთ ძირითადი ან/და ლოკალური გზების ან/და ქუჩების პროფილები;

<u>აქვე ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, საკითხის საკრებულოში გადაგზავნამდე წარმოსადგენი იქნება განმცხადებლის და არქიტექტორის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი გრგ კორექტირებული პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით.</u>

.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან;
თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია;
თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა;
თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება;
თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ;
განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოსადგენად გეძლევათ 30 დღე.
გაითვალისწინეთ, რომ დადგენილ ვადაში დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოუდგენლობის ან არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.